გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 190

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში არსებული საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ, 4 (ოთხი) ლოკაციაზე, „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში არსებული საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ, 4 (ოთხი) ლოკაციაზე მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში არსებული საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ, 4 (ოთხი) ლოკაციაზე, მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 - „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 - „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში არსებული საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ, 4 (ოთხი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში არსებული საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ, 4 (ოთხი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე